

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 4

ქ.თბილისი

2020 წლის 15 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 15 ოქტომბერს, სრკ-ს ბრძანება # 323/ზ 12/10/2020-ის მიხედვით სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მთავარი მსაჯის ნ.ამაშუკელის წითელი ბარათის ოქმები და ვიდეომასალა, ამა წლის 10 ოქტომბერს, I ლიგის მატჩზე, თბ „არმია“-სა და თბ „ხვამლი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „არმია“-ს მორაგბე რამაზ ჯინაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ჰამლეტ გოგია - კონფლიქტის პროვოცირება.
3. თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ლუკა პეტრიაშვილი - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „არმია“-ს მორაგბე რ. ჯინაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ჰ. გოგია დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
3. თბ „ხვამლი“-ს მორაგბე ლ. პეტრიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 15 ნოემბრამდე.
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ხვამლი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/